ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

# ვაშა, დიდება თქვენ, სოფლის მშრომელებო!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 274 (13359) | შაბათი, 20 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## დღეს თბილისში გაიხსნება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება.

## მხურვალე სალამი სახელოვან ადამიანებს!



ამ გულუხვ და მდიდარ მიწას საქართველო ჰქვია.
ჰა, ბრწყინავენ ნარინჯები — ეს რამდენი მზეა.
აქეთ ჩაის ატლასია, იქით ბაღი ჰყვავის,
მიწას შვენის ცისარტყელა, ბარაქა და ხვავი.

ხედავთ, როგორ უკაშკაშებს ბიჭრის თვალი მტევანს.
ზღვად გადმოსკდა ვაზის სიტკბო, აღარა აქვს ტევა...
მიწას გარჯა ალამაზებს, გზას — ვაზების ტევრი.
მღერის კერა, მღერის გული, ბედლეი და ქვევრი.

ზღვა სავსეა მზის ალერსით, მთას ულიმის ბარი,
იალაღებს შეჰფენია ოქროსგეწვა ცხვარი...
ზღვიდან ზღვამდე ცისარტყელას მღერის ყველა ფერი,
მღერის მიწა მადლით სავსე, საქართველო მღერის.

# სოციალისტური სოფლის მძლავრი ნაბიჯები

შემოდგომა აჯამებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმდინარე წლის ნაყოფიერ შრომას. და აი სახელოვანი გამარჯვების პირველი დროშა ააფრიალეს მეჩაიეებმა. მათ მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საერთოდ შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკამ სამშობლოს მისცა 1.178 ათასი ტონა ჩაი, რაც 131 ათასი ტონით აღემატება საგეგმო დავალებას.

მეჩაიეთა შორის გამარჯვების მედროშენი იყვნენ აჭარის ასსრ მეჩაიეები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით მოკრიფეს ვალდებულებით გათვალისწინებული 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გეგმისა და ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე მახარაძისა და წალენჯიხის რაიონების მეჩაიეებმა, მათ მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხობის, გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს ზუგდიდის, ლანჩხუთის, წულუკიძის, აბაშის და ზოგიერთმა სხვა რაიონმა.

მეჩაიეთა დიდი გამარჯვების ზეიმი ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, რომ მევენახეებმა გაუგონარი სიძლიერით გააჩაღეს რთველი.

სამშობლოს ჩაბარდა 243 ათასი ტონა ყურძენი, რაც 13 ათასი ტონით აღემატება საგეგმო დავალებას და 37 ათასი ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო ყველაზე მოსავლიან 1962 წელს.

განსაკუთრებით იმამაცეს გურჯაანის რაიონის მევენახეებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 54 ათასი ტონა ყურძენი — 16 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ბარაქიანი იყო ყურძნის მოსავალი და პატრიოტულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე თელავის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს, ახმეტის, წითელწყაროს, მცხეთის, მარნეულის, გარდაბნის, კასპის რაიონებისა და აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ყურძნის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს ბოლნისის, ხაშურის, თეთრი წყაროს, დუშეთის რაიონების მევენახეებმა.

ასეთი იყო წელს რესპუბლიკის მეჩაიეთა და მევენახეთა პატრიოტული საჩუქარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისათვის.

წელს როგორც მეჩაიეებს, ისე მევენახეებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ამინდის ძნელ პირობებში მოუხდათ. ჩვენი ველ-მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების მშრომელებმა გამოიჩინეს სწორუპოვარი მუყაითობა, თავდადება, საქმისადმი დიდი სიყვარული, შრომითი მამაცობა, რათა შეესრულებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

ეს გმირული შრომა დამსახურებული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

სახახელოდ იშრომეს საქართველოს მეცხოველეებმა. შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის, ხილის, დაფნის დამზადების გეგმები. განსაკუთრებით ისახელეს თავი მეკარტოფილეებმა. მარტო წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 25.200 ტონა კარტოფილი — 11.200 ტონით მეტი, ვიდრე ვალდებულებით ჰქონდათ ნაკისრი.

ასეთი წარმატებით ეგებებიან დღეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებას ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები — საქართველოს სოფლის ყველა მშრომელნი.

ეს წარმატებანი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თავდადებული შრომის, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის დახმარებისა და განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი ჩვენი მეცნიერების დიდი ყურადღებისა და ზრუნვის ნაყოფია.

ეს წარმატებები პირველი ნათელი შედეგებია იმ დიდი ლენინური ღონისძიებებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმმა.

საკოლმეურნეო სოფელი უკვე იმკის ჩვენი პარტიის ბრძნულ ღონისძიებათა პირველ სასიხარულო მოსავალს.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები საგულდაგულოდ ემზადებიან სკპ XXIII ყრილობისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც ფართოდ გააჩაღეს წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება — ვალდებულება იკისრეს სამშობლოს მისცენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის უფრო მეტი პროდუქტები.

ახლა საჭიროა ვიმუშაოთ ისე, რომ სიტყვა და საქმე ერთი იყოს, რომ წარმატებით შესრულდეს ყველა ნაკისრი ვალდებულება.. მაშინ ჩვენი დიადი სამშობლო საქართველოს სოფლის მეურნეობისაგან მიიღებს უფრო მეტ ჩაის, ყურძენს, ხილს, დაფნის ფოთოლს, თამბაქოს, ხორცს, რძესა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს!

მომავალი წლის მოსავლის ბედი ამთავითვე წყდება. საჭიროა ყოველმხრივ მოვემზადოთ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის, უფრო ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება.

წინ, ახალი წარმატებებისაკენ, სოფლის მეურნეობის სახელოვანო მუშაკებო!



## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. მ. ი. მექვევრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. მიხეილ ილიას-ძე მექვევრიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 19 ნოემბერი.

## ნობათი სამშობლოს

**ჩაი** გეგმა — 175.000 ტონა
შესრულება — 186.000 ტონა

**ყურძენი** გეგმა — 230.000 ტონა
შესრულება — 243.000 ტონა

**მარცვალი** გეგმა — 70.000 ტონა
შესრულება — 70.000 ტონა

**კარტოფილი** გეგმა — 45.000 ტონა
შესრულება — 49.000 ტონა

წარმატებით სრულდება აგრეთვე ხილის, შაქრის ჭარხლის, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები.



# შრომის სიხარული

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოფლის მეურნეობის წარჩინებულნი, რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი. წინა რიგში (მარცხნიდან): შ. მახაძე — ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ქ. ნაცვალაძე — მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის მეჩაიე, ს. აფხაზავა — ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, ნ. მამაიაშვილი — წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ს. გაბელია — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, ე. გენაშვილი — წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, ი. უჯირილაშვილი — გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, ხ. ყურშუბაძე — ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ე. ლილუაშვილი — ადიგენის რაიონის მოხის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, დ. ზოშიაშვილი — გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მევენახე; უკანა რიგში (მარცხნიდან): ვ. დენტაშვილი — ყვარლის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, მ. გასანოვი — გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ბ. ბერულავა — ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის კოლმეურნეობის აგრონომი, ს. ახალკაცი — ქარელის რაიონის აბისის კოლმეურნეობის აგრონომი, ქ. გოგიტიძე — ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, ი. სეფაშვილი — ყვარლის რაიონის შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

## ულოცავენ დიდ გამარჯვებას

### ბარაქალა თქვენ!

ქართული სოფლის ბარაქა, დღეს რომ შევხარით, ჩვენი მზიური რესპუბლიკის ბუნების წყალობა როდია. იგი გლეხკაცის მარჯვენამ მოიყვანა, კოლმეურნე გლეხისამ. ახლა ამ ფაქტორსაც თავისი მხარდამჭერი უნდა მივუყენოთ — ეს არის მეცნიერება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მაღალი მოსავალი.

ჩვენს სოციალისტურ სოფელთან ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამაც განაპირობა ის, რომ დღეს დიდ მოსავალს, სოფლის მეურნეობის დარგში წელს ყველა დავალების ღირსეულად შესრულებას ვზეიმობთ.

ბარაქალა თქვენ, მშრომელო ადამიანებო, კვლავაც გული გაიხსენ, მადლიანო ქართულო მიწავ, და კვლავაც ხვავითა და ბარაქით დააჯილდოვე მშრომელი კაცის მარჯვენა!

აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

### სიხარული ცასა სწვდება

დიდი ბედნიერებაა ალალი შრომის შედეგი საკუთარი თვალით იხილო, მით უმეტეს, თუ ეს შედეგი აჭარბებს ვარაუდებს. ასეთი სიხარულით არის სავსე ჩემი სამშობლო, საბჭოთა საქართველო, მისი სიხარულით სავსეა მთელი ქვეყანა, მისი მთა და ბარი.

ეს სიხარული მაღლა ცაშია აჭრილი, და რატომაც არა. მოსამკალი მოიმკო, დასაკრეფი დაიკრიფა, დასაწური დაიწურა, დასაბინავებელი დაბინავდა. ხალხი პირნათელია ქვეყნის წინაშე — და ქვეყნის წინაშე კი პირნათლობა უდიდესი საუნჯეა.

აი რატომ ხარობს დღეს ჩვენი ხალხი, აი რატომ მღერის და ლხინობს მთელი სულითა და გულით.

და ნურც გამოილევა ჩვენს ქვეყანაში ეს ლხინი და სიმღერა, რადგან ეს არის შრომის დამამშვენებელი ლხინი და სიმღერა.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

## თქვენთან ერთად, მეგობრებო!

### გულითადი მადლობა

ნება მიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით მოგესალმოთ თქვენ, საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ფორუმის მონაწილეებს, გისურვოთ ახალი გამარჯვებები, მევენახეებო, მეჩაიეებო, მეციტრუსეებო, მეცხოველეებო!

გულითად მადლობას გამოვთქვამ კახეთისა და კოლხეთის, მთელი საქართველოს კოლმეურნეთა მიმართ, რომლებმაც დიდი პატივი დამდეს და ჩამრიცხეს კომუნისტური შრომის ბრიგადებში საპატიო წევრად.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ გამარჯვებებს!

გერმანე ტიტოვი,
სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი.

### ახალი გამარჯვებებისაკენ!

#### საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებას

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია მხურვალედ მიესალმება საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებას.

ვულოცავთ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, პირველ რიგში სახელოვან მეჩაიეებსა და მევენახეებს, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებს, სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს ვუსურვებთ ახალ გამარჯვებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების დიდ საქმეში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

## აი, ისინი, ვინც თავი ისახელა









სურათებზე: სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები (ზევიდან): ს. სამუშია — წალენჯიხის რაიონის ლიის კოლმეურნეობის მეჩაიე, ლ. მაკასეევა — ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის კოლმეურნეობის მეხბორე, ა. იაშვილი — გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, გ. სიხაშვილი — ქარელის რაიონის მექანიზატორი.

## ასე ვიზარდეთ

შეკრების მონაწილეთა ტრიბუნა

### დ. გოგუაძე,

მახარაძის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

**ᲡᲝᲤᲔᲚ** განახლების კოლმეურნეობის წევრებმა წელს კარგად იშრომეს, შედეგებიც საამაყოა. გეგმით წელს უნდა მოეკრიფათ 931 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრეფილია 953,4 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 5.320 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე მოიკრიფა 1.260 კილოგრამით მეტი.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც **ბ. დოლიძე, ს. კილურაძე, ს. ცერცვაძე, ი. მეხუზლა** ხელმძღვანელობენ.

სოციალისტური შრომის გმირმა **ზინა ბაჯელიძემ** 0,6 ჰექტარზე მოკრიფა 9.729 კილოგრამი ჩაის ნედლეული, **ჟუჟუნა კვერღელიძემ** 0,7 ჰექტარზე — 7.191 კილოგრამი, **თინა ცერცვაძემ** — 6.875 კილოგრამი, ხოლო **ადელიკო მუჯირმა** — 6.984 კილოგრამი.

ჩვენმა მესიმინდეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 25 ცენტნერისა. ეს წარმატებები მოპოვებულია პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად.

### ვ. ბაჯელიძე,

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

**ᲚᲐᲛᲐᲖᲘ** ოდა-სახლები, მოასფალტებული გზები, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციები, ხეხილის ბაღები, რენტაბელური ფერმა — აი ერთი შეხედვით ჩვენი სოფლის სურათი. წელს სახელმწიფოს 1.332 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩავაბარეთ. ეს გეგმის 128 პროცენტია. ორას ტონაზე მეტ ციტრუსებს ჩავაბარებთ. მრავლდება საკოლმეურნეო დოვლათი.

მომავალი ხუთწლედისათვის გეგმით ვითვალისწინებთ გავაშენოთ 80 ჰექტარი ციტრუსები, 20 ჰექტარი ჩაი, გავზარდოთ ერთწლიანი კულტურების ფართობი, პირუტყვის სულადობა, ფართოდ დავნერგოთ მექანიზაცია, ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა.

ყოველ ახალ წელს ჩვენი კოლმეურნეებისათვის ახალი სიხარული და გამარჯვება მოაქვს.

### გ. ხარიტონაშვილი,

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

**ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ** შემოდგომა თავისი სიუხვით საოცარია. ვინც ვაზის ფასი იცის, ვისაც მისი სიყვარული ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, დამეთანხმება, რომ მარტო „ბუნების კალთა" ვერაფერს იზამდა, თუ არა ჩვენი გლეხის ძლიერი, დაძარღვული მარჯვენა.

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეექვსე აგროუბნის ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მოსავლელად გაპიროვნებული ჰქონდა 20 ჰექტარი მსხმოიარე ზვარი. გეგმით 132 ტონა ყურძენი უნდა მიგვეღო, ფაქტიურად სახელმწიფოს 217 ტონა ჩავაბარეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ.

ნაკვეთებს უვლიდნენ საქმისმცოდნე, უნარიანი მევენახეები. ახლა რაიონში ყველა იცნობს მაღალი მოსავლის ოსტატებს იოსებ და ალექსი დავითაშვილებს, ალექსი შათირიშვილსა და ალექსი მახოვს, ხუთისო გოგოჰურსა და პავლე ბასილაშვილს. პავლემ სამოცდაათ წელს გადააბიჯა, მაგრამ მაინც დღემდე შემორჩა ვაზის ტრფიალი, ჭაბუკური შემართება და ენერგია. 80 წელს მიტანებული ბერმუხა 0,5 ჰექტარ ვენახს უვლიდა, მზრუნველობა არ მოაკლო და ამ საზღაურიც — 34 ცენტნერის ნაცვლად 82 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

განა კეთილი სიტყვები დაილევა ამ დალოცვილი ჯიშის მკურნალ-მომაგეებზე?..

### დ. ქასრაშვილი,

ტყიბული. ხრესილის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

**ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ** კოლმეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი არტელია ტყიბულში. იგი აერთიანებს 9 სოფელს. კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია 111 ჰექტარზეა გაშლილი, ხოლო ხეხილის ბაღები 130 ჰექტარზე. კოლმეურნეობას აქვს მეცხოველეობის ორი მძლავრი ფერმა.

ხრესილელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაძლიეს შვიდწლედის ზღუდე. სულ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 382 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 10 თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 1.005 კილოგრამი რძე. თვითეული ჰექტარი სიმინდის ყანიდან მიღებულია 25 ცენტნერი მარცვალი.

ამ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანა პირველადმა პარტორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს 70 კომუნისტს. კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი **ნ. კუბლაშვილი** ხელმძღვანელობს, ნაცვლად 60 ტონისა მოკრიფა 65,5 ტონა „მწვანე ოქრო". ჩაის კრეფის ფრონტზე თავი ისახელეს კომუნისტებმა და კომკავშირელებმა **ი. კუბლაშვილმა, ნ. ფორჩხიძემ, ნ. კუბლაშვილმა** და სხვებმა.

კომუნისტი მწველავი **თ. ბასილაძე** 12 ძროხას უვლის. თვითეულზე მიიღო 1.340 კილოგრამი რძე და გეგმას 120 კილოგრამით გადააჭარბა. კომუნისტმა **ი. ობოლაძემ** თვითეულ დედა-ღორზე მიიღო 16 გოჭი ნაცვლად 12-ისა.

ხრესილელი კომუნისტები დიდგ-ნენ სკკპ XXIII და საქართველოს კპ XXIII ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის, ... ახალი ვალდებულებები.

### გ. საგკაევი,

ცხინვალის რაიონის დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

**ᲛᲘᲬᲐᲡ** უთქვამს: როგორც მიპატრონებ, ისე გაგახარებო. ეს თვითეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცის და ჩვენც, დმენისელებს მიწის კარგმა მოვლა-პატრონობამ შემოდგომა ბარაქიანი დაგვიყენა.

მეხილეობა ჩვენი არტელის შემოსავლიანი დარგია. შემოდგომით ადამიანთა თვალსა და გულს ატკბობს ჩვენი ბაღების ხილვა. სისხლივით წითელი, ქარვასავით ყვითელი არომატული, სურნელოვანი ნაყოფით ტოტები დამძიმებიათ ხეებს. აი ეს არის ჩვენი დაუღალავი შრომის დიდი ჯილდო, რითაც ვამაყობთ და გვესახელება.

უნაკლოდ გავანაღდეთ სამშობლოსათვის მიცემული პირობა — ჰექტარზე მოვკრიფეთ 100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ვაშლი. მომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად კვლავ დაუღალავად ვშრომობთ, სიმჩხრის სალიკვიდაციოდ აგროტექნიკური წესების დაცვით ვაწარმოებთ სამუშაოებს.

### ვ. ქორჩიანი,

ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ** მიმდინარე წლის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ჩვენმა კოლმეურნეობამ ჰექტარზე 18 ცენტნერი მარცვლეული მიიღო, გეგმა კი 15 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამასთანავე ჰექტარზე ნაცვლად 120 ცენტნერისა 180 ცენტნერი კარტოფილი მოვიყვანეთ და თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ათ თვეში 1.900 კილოგრამი რძე მივიღეთ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამისა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად ბურნაშეთელი კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ წლის ბოლომდე თვითეულ საფურაჟე ძროხის წველადობა 2.000 კილოგრამამდე აიყვანონ, ხოლო სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 1966 წლის პირველი კვარტალის დავალების შესრულება სამშობლოს უპატაკონ სკკპ XXIII ყრილობის გახსნამდე ხუთი დღით ადრე.

### მ. ჩიკვაიძე,

ქედის რაიონის ვაიოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

**ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ** სკოლის დამთავრებისთანავე სამუშაოდ მივედი ჩემი სოფლის კოლმეურნეობაში. განვლილი სამი წლის გამოცდილებისა და მოწინავეთა მეთოდების გამოყენებით წელს სარეკორდო მოსავალი მივიღე. 0,25 ჰექტარზე 430 კილოგრამი თამბაქოს ნაცვლად უკვე ჩავაბარე 450 კილოგრამი. წლის ბოლომდე კიდევ ჩავაბარებ 300 კილოგრამს.

მომავალ წელს მოსავლიანობას 50 პროცენტით გავზრდი. ამას იმით მივაღწევ, რომ გამოვიყვან ჯანსაღ ჩითილს. ამასთან ერთად აგროწესების სრული დაცვით **მოვიყვან ორ მოსავალს.**

## წინამძღოლი

ჩანახატი

ᲥᲐᲚᲘᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡᲐ და კუდიგორის მთებს შუა ალაზნის მარცხენა ნაპირზე გადაშლილია სოფელ შილდის საკოლმეურნეო ზვრები.

მანქანა ყვარლისაკენ მიგვაქროლებს.

ვენახები, ქარვისფერი მტევნებით დახუნძლული ვენახები...

ოჰ, რა დიდებული შემოდგომაა!

გზის პირას ზვარში მაღალი, პირხმელი, ოდნავ წელში მოხრილი მოხუცი შევნიშნეთ, ყურძენს კრეფდა...

მანქანა შევაჩერეთ, მივესალმეთ. გამარჯვება გვითხრა და ღიმილით შემოგვხედა. აგვხედ-დაგვხედა, ყურძნით სავსე კალათი იქვე დადგა, მივვიწვია, გასინჯეთ, თქვენი ხელით მოკრეფილი უფრო კარგიაო... ფოტოაპარატს რომ მოჰკრა თვალი, ჩაილაპარაკა, ვინ უნდა გადმიღოთო.

— რაიკომში შევიარეთ, ძია. რომელ კოლმეურნეობასაც გვეტყვიან, იმათზე შევჩერდებით, — უპასუხეს მოხუცს.

— მე ჯალალიშვილი ვარ, შვილო, ვანო... ჩემზე უკეთ ვინ იცის ამ ზვრების ავკარგი. ყვარლის რაიონში ახლა შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას ტოლი არა ჰყავს. ვკითხე, თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვინ არის-მეთქი.

— სეფაშვილია, ინდიკო, — ღიმილით თქვა ვანომ.

ნაცნობი სახელი და გვარი იყო. გავიფიქრე, ალბათ ის არის, ამ ორი წლის წინათ ყვარლის რაიკომში ზონის ინსტრუქტორად რომ მუშაობდა. აქებდნენ მაშინ, ენერგიული ახალგაზრდაა, თავისი საქმე შესანიშნავად იცისო. მაგრამ თავმჯდომარეობა ხომ ძალზე რთული საქმეა, მერე ასეთი ახალგაზრდა კაცისათვის.

— კმაყოფილი ხართ? — ვკითხე მოხუცს. მან გაკვირვებით შემომხედა.

— საწყენია...

— რა არის საწყენი? — ვკითხე შევეშახეს. მას გაეღიმა, მომიახლოვდა, ხელი მხარზე დამადო და მითხრა:

— საწყენია, რომ აქამდე არ იცით, როგორი თავმჯდომარე გვყავს...

გამეხარდა, ჩემს ნაცნობს ასე რომ აქებდნენ. ალბათ დაიმსახურა. ამ მოხუცის ჭაღარას არ შეიძლება არ ენდო. ვუსმენდი და მჯეროდა მისი. გულმართალი, გამრჯე კაცის სიტყვას აბა ვინ არ დაუჯერებს!

მოხუცს არ დავუმალე, რაიკომის მდივანი მაინც უნდა ვნახო-მეთქი, ვუთხარი და დავემშვიდობე.

რაიკომის პირველი მდივნის გივი ზაუტაშვილის მისაღებში ბევრი ხალხი იყო. მალე ბიურო უნდა დაეწყოთ...

რამდენიმე წუთს მაინც ვისაუბრეთ. მოხუც მევენახე ვანო ჯალალიშვილთან შეხვედრის ამბავიც მოვუყევი, ვუთხარი, რაც მითხრა თავმჯდომარეზე.

— ყველა შილდელი ასე გეტყვით, — დაამოწმა მდივანმა.

გამეხარდა, ხელმძღვანელობაშიც და კოლექტივშიც ერთი აზრი რომ იყო ამ ახალგაზრდა კაცზე.

შუადღემ მოატანა. კოლმეურნეობის ვენახში დავბრუნდით. რთველი გაეჩაღებინათ, ვენახებს შუა გზაზე მანქანა შემოეყვანათ, ქარვისფერი ყურძნით სავსე ვეებერთელა გოდრებით ტვირთავდნენ.

აქ იყო ჩვენი ახლად გაცნობილი მოხუციც.

— რაო რაიკომმა? — ჩამეკითხა იგი.

ინდიკო სეფაშვილი ცოტა მოშორებით ჩამრგვალებულ, ლოყაღაჟღაჟა კაცთან იდგა და რაღაცაზე საუბრობდა: დანახვაზე ჩვენსკენ ღიმილით გამოემართა. გაგვაცნო მევენახეობის ბრიგადირი დავით ოსეფაშვილი.

— თქვენზე, თქვენს კოლმეურნეობაზე გვინდა დავწეროთ ცოტა რამ, — ვუთხარი თავმჯდომარეს.

— ჩემზე არა და, აი ამ ხალხზე რამდენიც გნებავთ.

— შენ რომ არ იყო, მე ვიცი რასაც ეტყოდი ჩვენს სტუმარს, — სიტყვა ჩამოართვა თავმჯდომარეს ჩვენთან მდგომმა კომუნისტმა ბრიგადირმა დავით ოსეფაშვილმა.

— მაინც რას იტყოდით? — ჩავეკითხე ბრიგადირს.

— ინდიკოს მოსვლამდე ჩვენც აქ ვიყავით, ეს მიწაც. მაგრამ აბა ჰკითხეთ ხალხს, ასეთი წარმატებები თუ გვქონია ოდესმე. მიწას გამოყენება უნდა, ხალხს კარგი ხელმძღვანელობა, მიდგომა... დავით ოსეფაშვილის ლაპარაკს ყური მოჰკრეს ყურძნის მკრეფავმა ქალებმა.

— მართალს ამბობს ჩვენი ბრიგადირი, — გადმოგვილაპარაკა მაღალმა, გამხდარმა, ჭაღარა ქალმა თამარ ვარდოშვილმა.

თავმჯდომარემ უხერხულობის გასაქარწყლებლად საუბარი სხვა საკითხზე გადაიტანა, თან იმ ადგილიდან ზემოთ წაგვიყვანა, მეორე ხის ჩრდილში გადავინაცვლეთ.

ახლა სუფთა ფაქტებით ვილაპარაკოთ.

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში 900 შრომისუნარიანი წევრია, მაგრამ ყველა როდი მუშაობდა, ზოგი მათგანი გაურბოდა საკოლმეურნეო შრომას. შალვა ხუციშვილი მარტო საკარმიდამო ნაკვეთზე ზრუნავდა, დარჩენილ დროს გარესამუშაოზე დადიოდა, კოლმეურნეობის წევრის ყველა შეღავათით კი სარგებლობდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითეულ მათგანს ესაუბრა, დაარწმუნა, რომ არასწორად მოქმედებდნენ: ხან ტკბილი სიტყვით, ზოგს კი მწარეც შეხვდა...

მევენახე ვალიკო ბურდიაშვილი მისთვის მიჩენილ ვენახს დაუბრუნდა, კარგად მოუარა და ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო. მარტო პრემიის სახით 1.000 მანეთს მიიღებს. ახლა კი ნანობს თავის ადრინდელ საქციელს.

— სამწუხაროდ, კიდევ დაგვრჩა რამდენიმე კოლმეურნე, რომლებიც მარტო სახელს ატარებენ კოლმეურნისას. რაც ვიღონეთ, საკმარისი არ აღმოჩნდა მათთვის.

მევენახე ი. ასაბაშვილი წელს სულ არ გაჰკარებია ვენახს, მისი ყოფილი ნაკვეთი შოთა ფაჩიშვილს მიუჩინეს. შესანიშნავად მოუარა, 12 ტონა ყურძენი მიიღო. მარტო პრემიის სახით 1.200 მანეთს მიიღებს. ასაბაშვილი ახლა ნანობს, მაგრამ გვიანღაა. მას, ეტყობა, დაავიწყდა ხალხური სიბრძნე, თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასაო.

ბ. კონჯარია.

## ნობათი სამშობლოს

● ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის მშრომელებმა 18 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 24.262 ტონა ხილი ნაცვლად 21.491 ტონისა, 8.870 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 8.850 ტონისა, 39.200 ტონა შაქრის ჭარხალი ნაცვლად 36.270 ტონისა. გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმები.

● ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ რაიონის მშრომელებმა 18 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.697 ტონა მარცვლეული ნაცვლად 2.260 ტონისა, 8.080 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 8.050 ტონისა, 35.466 ტონა შაქრის ჭარხალი ნაცვლად 35.430 ტონისა.

● ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულეს 115 პროცენტით, კვერცხისა — 105,8 პროცენტით, მატყლისა — 100 პროცენტით, კარტოფილისა — 106 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100 პროცენტით, ყურძნისა — 101 პროცენტით.



ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ყოველ წელიწადს ჩაის მწვანე ფოთლის უხვ მოსავალს იღებს. მეურნეობამ წელსაც ისახელა თავი. გადაჭარბებით შეასრულა „მწვანე ოქროს" კრეფის გეგმა.

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# გული გაგვიხსნა მადლიანმა ქართულმა მიწამ

# სოფელი პირნათელია ქვეყნის წინაშე

იოსებ ნონეშვილი

## დაილოცოს

ღვინობისთვემ ღვინისფერი
დაასხურა მთაველს.
სოფლებს მთებზე მიმოფენილთ
საზეიმოდ რთავენ.

ცა ოქროსფერ შუქში ახვევს
ამ დალოცვილ ქედებს,
ზეიმი აქვს კარდენახელს,
შემოქმედელს... ქედელს...

შემოდგომის უხვი ძღვენი
იქცევ ერთი ოცად.
ასპინძელი მასპინძელი
შოთას ლექსით გვლოცავს.

ვაჟებს ათრობთ ქალთა ეშხი,
თვალთა ცისარტყელა
და სამაჭრე ულვაშებში
გაღიმება ელავს.

განა მართლა რუხი არის
რუხისციხის ბურჯი?
ხატავს ფუნჯი უხილავი:
წითელ...
ყვითელ...
ლურჯი...

გორის ციხის მწვანე კალთა
გულს ხალისით ავსებს.
მის მშობლიურ გალავანთან
მაღლა სწევენ თასებს.

ეს ერთი და სხვა ათასი,
რა სჯობს ასეთ ზეიმს.
ჩვენც ავწიოთ სავსე თასი,
ზევით!..
უფრო ზევით!

რომ დავლოცოთ გამრჯე ხელი,
უჯიათი მაჯა,
ბაღ-ვენახით სავსე ველი,
ჩაის მწვანე ფარჩა.

ზოგან მოსჩქეფს ქარვის ღვარი,
ზოგან ლალის წვიმა,
თრიმლია თუ ნეკერჩხალი,
მიწა წითლად ბრწყინავს.

ჰორიზონტზე ეს მზე ხელობს
თუ რქაცეცხლა ხარი?
დაილოცოს საქართველოს
დოვლათი და ხვავი!

19 ნოემბერი.

## მეგობრები — მეგობრებს

### ქ. მახარაძე

პარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივანს ამხ.
ა. თოიძეს

სულითა და გულით გილოცავთ დიდ გამარჯვებას ჩაის ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულების საქმეში.

გისურვებთ ახალ გამარჯვებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ნ. კუნიცა,**
უკრაინის კომპარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი.

### ქ. გურჯაანი

პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანს ამხ.
გ. აზაურაშვილს

გვახარებს თქვენი წარმატებანი და გულით გილოცავთ იმ დიდ გამარჯვებას, რომელსაც რაიონის მშრომელებმა მიაღწიეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეში.

გისურვებთ ახალ დიდ გამარჯვებას!

**მ. მამედოვი,**
აზერბაიჯანის კომპარტიის კაზახის რაიკომის პირველი მდივანი.

## ქალაქი — სოფელს!

### ეს მუშის გულითადი დახმარებაა

ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით მხურვალედ მივესალმებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებს, რომლებიც დედაქალაქში — თბილისში ჩამოვიდნენ გამარჯვებულთა სახელით.

გული გვიხარის, რომ სოფლის მეურნეობის ვაჟკაცთა ამ სასახელო საქმეებში თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქარხნის კოლექტივსაც, რომელიც ამზადებს და სოფელს უგზავნის მანქანა-იარაღებს. მარტო წელს ათ თვეში დავამზადეთ და გავაგზავნეთ 1.670 ცალი გუთანი, 6.700 ცალი ჩაის სასხლავი მაკრატელი, ხეხილისა და ვენახის შესაწამლი 62 ათასი აპარატი.

ვემზადებით რა სკკპ XXIII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ჩვენ ვცდილობთ ვადაზე ათი დღით ადრე შევასრულოთ წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოვუშვათ.

ეს იქნება ჩვენი ახალი წვლილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვისათვის პატრიოტულ ბრძოლაში.

**ვ. ბერუჩაშვილი** — თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის დირექტორი, **ო. შეხიკიანი** — მთავარი ინჟინერი, **დ. გრიგოლაშვილი** — პარტიული ბიუროს მდივანი, **გ. მაისაია** — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, **ბ. ალნიაშვილი, რ. სარქისოვი** — ბრიგადირები.

### შენთვის, სოფელო!

ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი გულმხურვალედ მიესალმება საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებს.

ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენს სასახელო წარმატებებში, რითაც სახელი და დიდება მოიპოვეთ, ჩვენი ქარხნის კოლექტივის მცირედი წვლილიც არის.

როგორც ჩვენ ვიცით, მეჩაიეებს დიდ სამსახურს უწევს „ტ-16“ მარკის ტრაქტორი, რომელზეც ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, აგრეთვე ჩაის სასხლავი, საფუმიგაციო, საკულტივაციო და სასუქების შესანახი მანქანებია დამონტაჟებული და რომელიც ჩვენთან, ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაშია მოდერნიზებული.

სოფელს წლიური გეგმის გადამეტებით უკვე გავუგზავნეთ „ტ-16“ მარკის 3.112 ტრაქტორი, წლის ბოლომდე კიდევ [illegible] გავუგზავნით.

ქუთაისელი ტრაქტორმშენებლები ყოველი ღონისძიებით დაეხმარებიან სოფლის მშრომელებს ახალი, სრულყოფილი მანქანებითა და იარაღებით.

**ს. აბზიანიძე** — ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი, **ი. ჯინჯიხაძე** — მთავარი ინჟინერი, **ა. წაქაძე** — ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

### ნობათი სამშობლოს

□ ვანის რაიონის მშრომელებმა ნაცვლად 4.100 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.110 ცენტნერი ხორცი, რძე — 8.210 ცენტნერი ნაცვლად 8.200 ცენტნერისა, კვერცხი — 613 ათასი ცალი ნაცვლად 600 ათასისა, სიმინდი — 3.050 ცენტნერი, ნაცვლად 2.200 ცენტნერისა.

□ ახმეტის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. ნაცვლად 2.110 ტონისა სამშობლოს მისცეს 2.130 ტონა მარცვლეული.

## მეგობრები — მეგობრებს

### გურჯაანი

ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარეს
დ. მამისაშვილს

ჩვენი კოლმეურნეობის ყველა მშრომელი აღაფრთოვანა იმ დიდმა შრომითმა გამარჯვებამ, რომელიც ველისციხელებმა მოიპოვეს, სასიხარულოა, რომ სამშობლოს პირნათლად შეუსრულეთ დაპირება და დიდძალი ყურძენი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მიჰყიდეთ.

ჩვენც პირნათლად ვართ სამშობლოს წინაშე. წლის ბოლოს ერთად შევაჯამოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

**მ. პოსმიტნი,**
უკრაინის სსრ ოდესის ოლქის ბერიოზოვკის რაიონის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

### წითელწყარო

სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
ნ. ყოჩიაშვილს

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შეჯამების დრო ახლოვდება. ჩვენ სიხარულით შევიტყვეთ, რომ ჯაფარიძე ლებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში.

მალე შეხვედრამდე!

**ა. მეჟლუმიანი,**
ქ. ერევნის შაუმიანის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.



გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. მაყაშვილი) მევენახეებმა სანიმუშოდ, აგროწესების დაცვით მოუარეს ზვრებს და კარგი მოსავლით სამშობლო გაახარეს, ოჯახები ბარაქით აივსეს. მეურნეობამ ყურძნის დამზადების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

სურათზე (მარჯვნიდან): მეურნეობის ბრიგადირი ლ. წამალაშვილი, მევენახე გ. მოსემღვდლიშვილი, მეურნეობის მუშები თ. წიკლაური და ქ. მეგრელიშვილი, მევენახე რ. საიქოძე რთველში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



სურათზე: მანდარინს კრეფს გულრიფშის [illegible] ურნეობის მუშა ვ. ტერუშინა.

## მზიური

ფრთებს შლის ახალი საბჭოთა მეურნეობა



გალის რაიონის მიკრორუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი ახალი დასახლება, რომელსაც მზიური უწოდეს. მზიური სულ სამ წელიწადში ზღვისპირეთის მარგალიტად, პროდუქტების სიუხვის წყაროდ იქცა.

დიდი გეგმები და პერსპექტივები დაისახა მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივის წინაშე, რომელსაც გამოცდილი აგრონომი მიხეილ ალავიძე ჩაუდგა სათავეში.

მეურნეობას ახლა 813 ჰექტარი უჭირავს. პირველი დღიდანვე დაიწყო ახალი მიწების ათვისება.

მზიურელებმა 1970 წლისათვის პერსპექტიული გეგმით უნდა გააშენონ 234 ჰექტარი ციტრუსოვანთა, 80 ჰექტარი ჩაის, 12 ჰექტარი დაფნისა და 10 ჰექტარი ბამბუკის პლანტაციები.

მეურნეობის შრომისმოყვარე ადამიანებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამ საპატიო დავალების შესრულებას. მათ გადაწყვიტეს რადაც უნდა დაჯდომოდათ, ვადაზე ადრე შეესრულებინათ ახალი პლანტაციების გაშენების დავალებები.

მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო. მზიურელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დღეისათვის უკვე აქვთ სანიმუშოდ მოვლილი 281 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები.

ამ მოკლე ხნის მანძილზე გააშენეს აგრეთვე 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და დღეისათვის ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს აქ სულ 60 ჰექტარი უჭირავს.

ქების ღირსია მეურნეობის მშრომელთა ინიციატივა ხეხილის ახალი ბაღების გაშენების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ხეხილის გაშენების სახელმწიფო დავალება არ ჰქონდათ, მათ 57 ჰექტარზე გააშენეს ბაღები და სანიმუშოდ უვლიან საუკეთესო ჯიშების ვაშლის, მსხლის, ატმის ნარგავებს. გაშენდა აგრეთვე 20 ჰექტარი დაფნის პლანტაცია, ხოლო 3,5 ჰექტარზე მოეწყო ციტრუსების სანერგე მეურნეობა.

შეჰყურებ ახლა ამ პლანტაციებს, ბაღებს და გული სიხარულით გევსება, ხედავ, რომ თვითეულ მცენარეს თუ ბუჩქს მზრუნველი ხელი ატყვია.

აი მეურნეობის ცენტრალური უბანი. მის ტერიტორიაზე შესვლისთანავე თვალწინ წარმოგიდგებათ ორ-ორსართულიანი ლამაზი შენობების მთელი კვარტალი. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია. ეს ქათქათა შენობები მუშათა საცხოვრებელი სახლებია. აქვე აშენებულია კეთილმოწყობილი სასადილო, პურის საცხობი, საბავშვო ბაღი, გარაჟი ტრაქტორებისა და ავტომანქანებისათვის, სახელოსნოები, მატერიალურ-ტექნიკური საწყობები. გარდა ამისა მეურნეობამ წელს კურორტ სალხინოზე ააშენა საზაფხულო საბავშვო ბაღი 100 ბავშვისათვის.

მეურნეობის ტერიტორიაზე გაიყვანეს აგრეთვე 20 კილომეტრი კეთილმოწყობილი საპლანტაციო გზები.

ყოველწლიურად იზრდება მეურნეობაში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მოსავლიანობა.

— მეურნეობის შექმნის პირველ წელსვე, — გვეუბნება დირექტორი მ. ალავიძე, — გეგმით გათვალისწინებული 140 ტონის ნაცვლად 155 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოვკრიფეთ, ხოლო 80 ტონის ნაცვლად 150 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა დავალება შარშან. წელს მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა მოიკრიფა 210 ტონა „მწვანე ოქრო“ და ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შვიდ ტონას მიაღწია.

მეურნეობაში გაჩაღებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. მართალია, შარშანდელი ზამთრის ყინვებმა საგრძნობლად დააზიანა პლანტაციები, მაგრამ მიყენებული „ჭრილობა“, შეიძლება ითქვას, უკვე მოშუშებულია და ნაყოფის ჩაბარების სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

მზიურელები ყოველთვის მოგებით ამთავრებენ სამეურნეო წელს. 50 ათასი მანეთი მოგება მისცა მეურნეობამ სახელმწიფოს პირველსავე წელს, ხოლო მიმდინარე წელს 100 ათას მანეთს ელიან.

შრომითი ენთუზიაზმი სუფევს მზიურში. მეურნეობის ექვსასკაციანი კოლექტივის თვითეული წევრი ყოველდღიურ ზრუნვაშია. მათი უმრავლესობა ამჟამად ლაო-ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფაზე მუშაობს. დანარჩენნი კი პლანტაციების საშემოდგომო სამუშაოებზე არიან.

მეურნეობის ოთხ აგროგანყოფილებაში შექმნილია თორმეტი ბრიგადა. საუკეთესო წარმატებებს აღწევენ ის ბრიგადები, რომლებსაც ნ. გოგოხია, გ. ჩაკაბერია და ა. ხორავა ხელმძღვანელობენ. ამას წინათ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავე მეჩაიეს, კომკავშირელ თინა ყოლბაიას მეურნეობის ვიმპელი და ფულადი პრემია მიეკუთვნა. 0,3 ჰექტარზე მან 5 500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა.

შესანიშნავი პერსპექტივები აქვს მზიურის საბჭოთა მეურნეობას. ციტრუსების ახალი პლანტაციები, მზიურის ულამაზეს გორაკებს ცისარტყელასავით რომ შემორკალვია, მალე სიმდიდრის სამსახურში ჩადგება. ადრე კი ეს გორაკები ეკალბარდითა და ჯაგნარით იყო დაფარული.

**ი. გობეჩია.**

• • •

სურათზე: მეურნეობის დირექტორი მ. ალავიძე (მარჯვნივ) და ბრიგადირი ნ. გოგოხია ახლადმოწყობილ ტერასებზე.

## გაჰყევ ალაზნის პირსაო...

გადაგიხედავთ ცივგომბორიდან? გინახავთ ირმების გადასახედი, სიცოცხლის გადასახედი! იისფერ ნისლში ჩაძირული ალაზნის ველი — ბრწყინვალე, ოქროს მზის ამოსახედი, ვაზდაბურული, ზვრებიანი, ბაღჩა-ბაღებიანი! გინახავთ წითელკრამიტიანი სახლებით დამშვენებული მხარგაშლილი სოფლები?

გინახავთ ალაზანზე ვაზის ტირილი? ვაზის ყვავილობა? გინახავთ ვენახში ცის გახსნა? ქარვისფერი მტევნებით დამძიმებული ვაზები, მაჭრის აშუშხუნება მარნებში?

ეს დიდებაა ალაზნისა, ეს ქართული მიწის გვირგვინია!

დაილოცოს თქვენი მარჯვენა, ალაზნისპირელო მეზვრეებო, სიუხვე რომ მოირთვლიანეთ და სამშობლოს 141 ათასი ტონა ყურძენი მიუწონეთ. წელს თექვსმეტი ოქროს მედალი დაიმსახურა თქვენმა ღვინოებმა. მომავალშიც გიმრავლოთ ასეთი მედლები.

მარტო შვიდნი ძმანი გურჯაანელნი კი არა, მთელი რაიონის მევენახეები იყვნენ წასული ზვრებში სამუშაოდ. კარდანახიდან შრომამდე და კაკაბეთამდე ვენახებში შრომის ცეცხლი ენთო მთელ წელიწადს და აკი იმიტომაც გაიმარჯვეს. გაიმარჯვეს და მერე როგორ! 54 ათას ტონაზე მეტი ჩაწურეს სახელმწიფოს მარნებში. სამშობლო გაახარეს, ოჯახებიც ხვავითა და ბარაქით აივსეს.

ველისციხელებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი მამისაშვილი) კახეთში ყველაზე მეტი მოსავალი მიიღეს. სახელმწიფოს ჩააბარეს ხუთი ათასი ტონა ყურძენი.

დაე გაიგოს ქვეყანამ მათი პირველობის ამბავი! ისიც გაიგოს, რომ სოციალისტური შრომის გმირის მ. მექვევრიშვილის ბრიგადის მიერ მოყვანილი ყურძნის ნაწური ქვევრებში ღვარად მიდიოდა, ხოლო ი. მემარნიძის ბრიგადის ყურძენს მარნები ველარ იტევდნენ, ა. შოშიაშვილისა და ზ. ბეჟანიშვილის ბრიგადები ყურძნის კრეფას ვერ აუდიოდნენ.

სოფელი ვაზისუბანი! მართლაც რომ ვაზის უბანია ეს ბარაქადაულეველი სოფელი. მას ზვრებმა წელსაც გაუთქვეს სახელი. წარმატებები ახარებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ იაშვილს. უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გზა აქ იებით როდი იყო მოფენილი. ვაზისუბნელებმა წელს 4.800 ტონა ყურძენი ბუნებასთან ვაჟკაცურ ჭიდილში მიიღეს.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ზაქარია უზუნაშვილს მევენახეებთან ერთად ბევრი უზრუნია, რომ 4.300 ტონა ყურძენი მიეცა სამშობლოსათვის. და განა მარტო მუკუზნელებს! კარდანახულ ღვინოს ყველგან აქებენ და მის მომყვანთ მარჯვენასაც ულოცავენ. მეურნეობის დირექტორი თეიმურაზ სეხნიაშვილი კი ამაყად აცხადებს, ეს ერთი და სხვა ათასი გამარჯვება კიდევ იქნებაო.

კვლავ უფრო ბარაქიანი იქნება ჩვენი ზვრებიო, ამაყად ამბობს შრომის მეურნეობის დირექტორი ვახტანგ მაყაშვილი. ვიცით, სიტყვას რომ არ გატეხენ.

ჩოდალომ, ჯიმითმა, არაშენდამ, ნანიანმა, გურჯაანმა, ჩუმლაყმა, ყველა სოფელმა ისახელა თავი. საპატიო წვლილი შეიტანეს დიდ გამარჯვებაში რაიონის მევენახეებმა: ა. დათუნაშვილის, ა. იაშვილის, დ. ბერიაშვილის, გ. ჩაგელიშვილის, რ. ბალაშვილის, რ. უზუნაშვილის, უ. ტურიაშვილის, შ. ჩახვაშვილის ბრიგადებმა და აგროგანყოფილებებმა, მევენახეებმა შ. გოგიშვილმა, ზ. ფრიდონაშვილმა, მ. გოგოლაშვილმა, გ. შიშნიაშვილმა, რ. საიქოძემ და ბევრმა სხვამ.

წელს თელაველებმა სამშობლოს 27 ათას ტონამდე ყურძენი მიჰყიდეს.

ამ პატრიოტულ შრომაში დიდი წვლილი შეიტანეს აკურელმა კოლმეურნეებმა (თავმჯდომარე ა. ქევხიშვილი), განსაკუთრებით ისახელეს თავი მევენახეებმა შ. მესაბლიშვილმა, ვ. ქევხიშვილმა, გ. გოგიშვილმა. ბარაქიანი მოსავალი მიიღო კონდოლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. ახალმოსულიშვილი). ღვარად მოწყდა წინანდლის ზვრების ბარაქა (მეურნეობის დირექტორი გ. გოგველიშვილი). ქების ღირსნი არიან ამ მეურნეობის აგროგანყოფილების უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ბატიაშვილი, მევენახე შ. მეგრელიშვილი.

ასევე უხვი მოსავალი მიიღეს ვანთელმა, ქვემოხოდაშნელმა, ბუშეტელმა, სანიორელმა, ართანელმა მევენახეებმა.

კვლავაც ნუ მოგეშალოთ, თელაველებო, გამარჯვება!

ვერც დურუჯის მღვრიე ტალღებმა და ვერც კუდიგორიდან წამოსულმა სეტყვამ ვერა დააკლო რა ყვარლელთა ვენახებს. გამრჯე მევენახეებმა ბუნებას სძლიეს და თუმცა ძნელ პირობებში, მაგრამ გამარჯვების დროშა ილიას მთაზე ლაღადააფრიალეს და 17 ათას ტონამდე ყურძენი მისცეს დედა-სამშობლოს.

ჰიკაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან პ. გელაძესთან ერთად ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში გამარჯვების ვაჟკაცური სიტყვა შილდელმა ი. სეფაშვილმა თქვა. ყვარლის მეურნეობამ (დირექტორი ა. ავაზაშვილი) მევენახეების გარჯითა და შრომით ბარაქიანი მოსავალი მიიღეს.

ჰიკაანელმა მევენახემ ვ. დალაქიშვილმა 220 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ალექსანდრე და ეკატერინე პატიაშვილებმა 300 ცენტნერი მიუწონეს სახელმწიფო მარანს. ხოლო ი. ბაიკარაშვილმა და პ. ქვაჭრელიშვილმა თვითეულმა 150 ცენტნერი ყურძენი.

ალაზანს გადახედეთ სიღნაღიდან, როგორ არ აღგაფრთოვანებთ ანაგელთა ვაქირელთა, საქობოელთა, წნორელთა, ბოდბისხეველთა, ჯუგაანელთა, ტიბაანელთა, ძველანაგელთა, ქვემომაჩხაანელთა, ხირსელთა ზვრები. აღგაფრთოვანებთ და არ შეიძლება არ გაიფიქროთ: რა ხელმა გააშენა ლარივით სწორი რიგები, რა ხელმა დახატა ალაზნის ველი ხალიჩასავით. — სწორედ ამ სილამაზის მხატვრებმა წელს 14 ათას ტონამდე ყურძენი მიუძღვნეს სამშობლოს! ტიბაანის თავკაცმა ლ. დოლმაზაშვილმა თავისი მევენახეებით იპირველა, არც მეორე ადგილია ურიგო, თქვა მაღაროელთა წინამძღოლმა გ. გოგინაშვილმა, მესამე ადგილს ძმურად ვიყოფთო, — ამბობენ ჯუგაანისა და საქობოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეები: ი. ბატიაშვილი და დ. მერაბიშვილი.

მომავალ წელს ყველას პირველი ადგილი გაგვეყოთ, ძვირფასო მეგობრებო!

ალაზნის თავში ახმეტელები არიან, ბოლოში კი წითელწყაროელები. ახმეტელები ამიტომაც მღერიან „ბახტრიონიდან გიმღერითო“, თვითონ მღერიან და სადაც კი მათი ღვინო დაილია, იქ მათ უმღერიან, ახმეტელ მევენახეთა მარჯვენას ლოცავენ. „ახმეტა“ და „ბახტრიონი“ ოქროს მედლის „კავალრები“ არიან და აბა როგორ არ დალოცავენ მის მომყვანსა და დამყენებელს. 10 ათას ტონაზე მეტი ყურძნის დამზადება გაზა სასახელო და საამაყო არ არის!

ქისტაური, ახმეტა, ალვანი! — აი გამარჯვებული სოფლები.

ლაგოდეხის რაიონის სოფლებშიც შეიჭრა ვაზი, ფესვი გაიდგა და გაიხარა. ლაგოდეხელებმაც იზეიმეს გამარჯვება, მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა წითელწყაროს რაიონის ზვრების ბარაქამ. 7.600 ტონა ცოტა როდია. აბა ვინ იფიქრებდა, ზემოქედელები სამასი პროცენტით რომ შეასრულებდნენ გეგმას და ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტ ყურძენს მიიღებდნენ. ახლა ჯაფარიძელთა გარჯას არ იკითხავთ?! გეგმა ორმაგად შეასრულეს. ქვემო ქედმა, საბათლომ და სხვა სოფლებმაც იმარჯვეს. არსენ კობაიძესა და ნიკო ყოჩიაშვილს გამარჯვებას ულოცავს მთელი ხალხი. კვლავაც წინ გველოთ, სახელოვანო თავმჯდომარეებო!

შემოდგომა მიდის, მობრძანდება ზამთარი. მეზვრეები ვენახებს მომავალი წლისათვის ამზადებენ, მიწას მარილსა და მადლს აყრიან, რომ კვლავაც უხვად იყოს რქაწითელი, საფერავი, მწვანე და სხვა ჯიშის ყურძენი.

მოდის ზამთარი! ვინ იცის, საქართველოში რამდენი გამრჯე წყვილი იქორწინებს, რამდენი ახალი მეოჯახე შეემატება ჩვენს ქვეყანას. ემატოს, ემატოს! იმღერებს ხალხი! სულ ქორწილებში, ლხინში და ბედნიერებაში დაილიოს ჩვენს ქვეყანაში დაყენებული ღვინო!

243 ათას ტონაში 141 ათასი ტონა ალაზნის ზვრებისა და მეზვრეების მარჯვენის ნაყოფია. იმ ალაზნისა, პოეტი რომ უმღერის:

„ალაზნის ველი ბრწყინვალე,
ოქროს მზის ამოსახედი...
ვაზდაბურული სამშობლო,
ჩემი უკვდავი კახეთი!“

დაილოცოს ზვრები ალაზნისაო, მეზვრე სიუხვისაო! თქვენი გამარჯვებაა იყოს, მრავალჟამიერ!

**ვ. გოზალიშვილი.**

## ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო...



გზას გაჰყავ, ისევ გზებია, ერთურთზე გადახლართული...



სოფლებს მთებზე მიმოფენილთ...



გადმიშვი მთაო, გადმიშვი...

# ხალხური საუნჯე

## მევენახე გოგონას

სულ რომ ზვრებისკენ იჩქარი,
არ გიყვარს სახლში დარჩენა,
ქალავ, ერთი ეს მითხარი:
გული რამ მოგცა მაგდენა?

ნისლი გეხვევა მანდილად,
ქარი თმას აგითამაშებს,
ხან კი გულსწორი ვაჟილაც
ცხენდაცხენ ჩაგითამაშებს...

შრომა გიხდება მშვენიერს,
საქმეს რომ ცეცხლად ედები,
მოგესალმება ცვარ-ნამით
პირდაბანილი ქედები.

დილის მზე ცაზე მოგორავს,
მთებზე ნისლები აჰყარა
და ხელხვავიან გოგონას
ღიმილი გადმოგაყარა.

ნეტავ, ქალი ხარ თუ ქარი?
შურთხს ასწრებ დილით აფრენას,
ჩემი მადლობაც უთხარი
მაგ ბარაქიან მარჯვენას.

ვ. ხუცურაული,
დუშეთის რაიონი, სოფ. ხორხი.

## მწყემსის სიმღერა

მწყემსი ვარ, ველად გაზრდილი,
მცნობარე დიდი ხნისაო,
ზამთარს ყიზლარის ველზე ვარ,
ფარებ იქა მყავს ცხვრისაო.

კასპიის სანაპიროზე,
სადაც ღელვაა ზღვისაო,
ზაფხულში ფშავის ქედებზე
მალხენს ნიავი მთისაო.

ცხვრის მოშენება-მოვლაში
ჯილდო მაქვს მთავრობისაო,
პურის საჭმელად ჩავდივარ
ძირს რომ წყარო დის კლდისაო.

თან მახლავს ძაღლი ბროლია
თავზარდამცემი მგლისაო,
სალამურს ავაწკრიალებ,
მთები ბანს მომძახისაო,
პირზე მეფრქვევა ღიმილი
პირიმზე ყვავილისაო.

ვენაცვალები პარტიას,
მოთაყვანე ვარ მისაო.
ვინც მომაკერა ამ მკერდზე
ორდენი ლენინისაო.

ნიკო ბულალაური,
ხალხური მთქმელი.

## „ვეფხისტყაოსანი" მონღოლურ ენაზე

საქართველოს მწერალთა კავშირმა საჩუქრად მიიღო მონღოლურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ჩამოიტანა მონღოლეთის ლიტერატურული გაზეთის „ცოგ"-ის პასუხისმგებელმა მდივანმა ბადრა სამბულმა. წიგნი, რომლის ყდასაც ი. თოიძის ცნობილი ნახატი — ტარიელისა და ვეფხის ბრძოლაამშვენებს, თარგმნა ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილმა მონღოლმა მთარგმნელმა გომბოჟომ.

# ჩვენი წინადადება

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ, რომელიც გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დილის სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო მოვლენების განვითარება, გამალებული შეიარაღების სულ უფრო გაძლიერება, მის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვის გადიდება, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება დაბეჯითებით მოითხოვს შევიმუშაოთ განიარაღების ეფექტიანი შეთანხმებული ღონისძიებანი, რომლებსაც განახორციელებდა ყველა სახელმწიფო, კერძოდ ყველა ატომური სახელმწიფოც. სწორედ ამიტომ ახლა ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, შემოიტანა წინადადება, რომ მსოფლიო კონფერენცია მოვიწვიოთ 1966 წელს ჟენევაში ან სხვა ადგილას, რომელიც მისაღებია ყველა მონაწილისათვის.

ნ. ტ. ფედორენკომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობით განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეამ უაღრესად ფართო მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

## განრისხებული ბულავაიო

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). წუხელ ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა სამხრეთ როდეზიის მნიშვნელობით მეორე ქალაქის — ბულავაიოს ცენტრი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიდან იტყობინება, აფეთქების ტალღამ ჩაამსხვრია მინები ქალაქის მუნიციპალიტეტის მეზობლად მდებარე შენობებში.

გუშინ ამ ქალაქში ოთხი ათასზე მეტმა აფრიკელმა მუშამ დაიწყო გაფიცვა სმიტის რასისტული მთავრობის მიერ როდეზიის დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადების წინააღმდეგ.



## კანდიდატთა ოფიციალური სია დამტკიცდა

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარემ გ. პალევსკიმ განაცხადა, რომ საბჭომ დაამტკიცა რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა ოფიციალური სია. საბჭომ დაამტკიცა ექვსი კანდიდატი, სახელდობრ: მ. ბარბიუ, შ. დე გოლი, ჟ. ლეკანიუე, პ. მარსილასი, ფ. მიტერანი, ჟ. ლ. ტიქსიე-ვინიანკური.

## დაქირავებული მოწმენი

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვატყობინებს: კოლუმბიის ფედერალური ოლქის საოლქო სასამართლოში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პროცესზე დამთავრდა ბრალდების „მოწმეთა" ჩვენების მოსმენა. ბრალდების „მოწმეებმა" აღიარეს, რომ პროცესის დაწყებამდე ისინი გამოიძახეს იუსტიციის სამინისტროში, რათა მოეწყოთ რეპეტიცია, თუ როგორ უნდა ეპასუხათ სასამართლოს შეკითხვებზე. „მოწმეების" ეს წვრთნა სასამართლოს დროს, ყოველი შესვენების დროსაც კი გრძელდებოდა.

## კონცერტები ცეცხლის ხაზზე

ჰანოი, 18 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი იტყობინება:

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოთხი დღეა კონცერტებს მართავს ციმბირის მოცეკვავეთა ანსამბლის მსახიობთა ჯგუფი. მსახიობებმა კონცერტები გამართეს იმ რაიონებში, რომლებსაც ბომბავს ამერიკის ავიაცია. საბჭოთა მსახიობებმა 14 კონცერტი გამართეს ქალაქების ფულის, ნამდინის, თხანჰოის მეზენიტეებისა და მოლაშქრეებისათვის.

ნამდინში ამერიკელთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს მეზენიტეებმა როგორც კი კონცერტი შეწყდა. თხანჰოიში საბჭოთა მსახიობები გამოვიდნენ მეზენიტეთა პოზიციებზე ხამჟონგის ხიდის ორივე მხარეზე. ეს ხიდი რამდენჯერმე იყო ამერიკის ავიაციის მასირებული თავდასხმების ობიექტი.

## ინგლისმა ატომური აფეთქება მოახდინა

ლონდონი, 19 ნოემბერი (საკდესი). „ინგლისმა მიწისქვეშა ატომური აფეთქება განახორციელა „პოლარისის" რაკეტების ატომური მუხტის გაუმჯობესების მიზნით", — წერს დღეს „დეილი ექსპრესში" მიმომხილველი ჩ. პინჩერი. ეს, ნათქვამია ცნობაში, გუშინ განაცხადა თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა. მაგრამ მან არ აცნობა პარლამენტს, რომ ეს აფეთქება საიდუმლოდ განხორციელდა ჯერ კიდევ ორი თვის წინათ ამერიკის ნევადის შტატის პოლიგონზე. პინჩერს მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრმა ეს ფაქტი პოლიტიკური მოსაზრებით დამალა, რადგანაც სექტემბერში საიდუმლოების გამხელა გამოიწვევდა იმას, რომ ვილსონს სერიოზულად გააკრიტიკებდა ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთა კონფერენციაზე, რომელიც იმ დროს ბლეკპულში მიმდინარეობდა.



მთელ საბჭოეთში რეკავენ
დიდების შრომის ზარები,
თქვენს შესახვედრად, გმირებო,
ღიაა გულის კარები.

რაცა თქვით, საქმედ აქციეთ,
ეს დღე სახსოვრად დარჩება.
რა საამურად მოდიხართ,
თქვენ დაგელოცოთ მარჯვენა!

თქვენ დაგელოცოთ მარჯვენა,
ათიათასჯერ ქებული.
გმირებო, მუდამ გვენახეთ
ასე ხელდამშვენებული!

ნახ. ი. ქოქიაშვილისა, ტექსტი ვ. გორგანელისა.

## გეგუთელ მებოსტნეებთან

წყალტუბო, 18 ნოემბერი. (საქდესი). გეგუთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ დაამთავრა სათბურების რეკონსტრუქცია. ახლად აგებული საქვაბე ნორმალურ ტემპერატურას ქმნის სათბურებში და ხელს შეუწყობს მებოსტნეებს მოიწიონ უხვი მოსავალი. ახლა სათბურებში 1.200 კვადრატულ მეტრზე დათესილი კიტრი უკვე ყვავილობს. მებოსტნეები ითვალისწინებენ თითოეულ კვადრატულ მეტრზე მოიწიონ სულ ცოტა სამი კილოგრამი კიტრი. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში აქ მოიწევენ კიტრის ორ მოსავალს.

## მონადირის მამაცობა

მაიაკოვსკი, 18 ნოემბერი. (საქდესი). ზეკარის სატყეო-სამონადირეო სახლის გამგე, ეგერი ალექსანდრე გიორგიძე უბნის მორიგი შემოვლიდან ბრუნდებოდა. ტყის კლდოვან ბილიკზე მის წინ მოულოდნელად დათვი აღიმართა. მონადირემ მოასწრო გასროლა. დაჭრილმა გამძვინვარებულმა მხეცმა ქვეშ ამოიდო ადამიანი. მონადირე არ დაიბნა. იგი მხრებით დაებჯინა კლდეს და ჭრილობისაგან დასუსტებული დათვი ფეხის ბიძგებით ხევში გადაჩეხა.

მამაცმა მონადირემ თვითონვე შეიხვია ჭრილობები და დასახლებულ უბნამდე გამოაღწია. შემდეგ იგი მოათავსეს მაიაკოვსკის რაიონულ საავადმყოფოში, საიდანაც მალე გამოეწერება.

## მ. ტალი თუ ბ. სპასკი?

# ყაიმის ეპიდემია

ვფიქრობ, რომ „კომუნისტის" მკითხველებს სურთ ყველაფერი გაიგონ მატჩის გარშემო. ჭადრაკის გულშემატკივარი, როდესაც ბორის სპასკისა და მიხეილ ტალს ესოდენ ჩაფიქრებულს ხედავს, კითხულობს: საინტერესოა, რას იღებენ გროსმაისტერები, ასე მთელი თვეობით თავს რომ „იმტვრევენ?"

ემ. ლასკერი მსოფლიოს ჩემპიონი იყო 27 წლის მანძილზე, „მილიონერი" კი მხოლოდ იმ დროს, როცა გერმანიაში ინფლაცია მძვინვარებდა. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან „მილიონერები" იყვნენ სპასკი და ტალი, ოღონდ იუგოსლავური დინარებით. შეუდარებელი მოჭადრაკე ალექსანდრე ალიოხინი ღარიბი არ ყოფილა, მაგრამ რაიმე სიმდიდრეც არ ჰქონია.

ჭადრაკის ისტორიაში შეიძლება არაერთი შემთხვევის დასახელება, როდესაც მოჭადრაკეები მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ (სასოწარკვეთილებამდე მისულმა ინგლისელმა ოსტატმა დ. იეტსმა თავიც კი მოიწამლა გაზით), მაგრამ (ჯერჯერობით) არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოჭადრაკე, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონი გამდიდრებულიყო.

ფიდე საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და რაიმე თვალსაჩინო თანხა არ გააჩნია. მატჩები მსოფლიოს პირველობაზე და შესარჩევი ტურნირები იმ ორგანიზაციის ხარჯზე იმართება, რომელიც ამ მატჩებს აწყობს. ფიდე კი ამტკიცებს ამ პირობებს. უნდა ითქვას, რომ ფიდეს არც გროსმაისტერებისათვის და არც მოჭადრაკე პროფესიონალებისათვის სასარგებლო არა გაუკეთებია რა. ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. ალიოხინი მთელი ძალღონით ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ მოჭადრაკეთა მატერიალური პირობები.

დღეს გროსმაისტერები როგორღაც უნებისყოფოდ იმორჩილებიან ფიდეს პირობებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთ თვალსაჩინო მოჭადრაკეთა მატჩში, როგორიც პ. კერესი და ბ. სპასკი არიან, გამარჯვებულმა სპასკიმ მიიღო პრიზი ასი მანეთის ოდენობით, დამარცხებულმა კი — 47 მანეთი.

უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჭაბუკი ჩემპიონი რობერტ ფიშერი წინააღმდეგობას უწევს ფიდეს პირობებს. ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ იგი უარს ამბობს ითამაშოს შესარჩევ ტურნირებში. რობერტ ფიშერი უფულოდ ერთ პაიკსაც არ გადასწევს. გაგახსენებთ, რომ მან საკმაოდ დიდი თანხა მიიღო ჰავანის ტურნირში მონაწილეობისათვის. სამი ათასი დოლარი ექსტრა ჰონორარი, ათას ხუთასი დოლარის პრიზები და ათი ათასი დოლარი ტელევიზიისაგან იმის ნებართვისათვის, რომ გულშემატკივრებს ეცქირათ მისთვის.

ყოველივე ამას იმისათვის მოგახსენებთ, რომ მკითხველი ინფორმირებული იყოს. რა თქმა უნდა, ყველა გროსმაისტერი ოცნებობს მსოფლიოს პირველობაზე და არ ფიქრობს გამდიდრებაზე (მხედველობაში არა მყავს ფიშერი). ყველა მათგანი საჭადრაკო ხელოვნების ფანატიკოსია. მათთვის მთავარია სპორტული ღირსება.

ახლა კი იმაზე, თუ როგორ წარიმართა გუშინ ბრძოლა ამ სპორტული ღირსებისათვის — მერვე შეხვედრა რუსთაველის თეატრში. არ შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ტალი ანებივრებს თბილისელებს მრავალფეროვანი რეპერტუარით. იგი ოთხჯერ თამაშობდა თეთრებით და ოთხჯერვე მეფის პაიკის დასაწყისი აირჩია. ბორის სპასკის ორი სიმპათია აქვს: ორჯერ მეფის პაიკით დაიწყო თამაში და ორჯერ ლაზიერის პაიკით. ახლა, როცა ფინიშამდე მცირე დისტანცია დარჩა, არც ერთ მხარეს არა სურს მდგომარეობის გამწვავება. მაშ რის იმედი აქვთ პრეტენდენტებს? ეს მათ უფრო იციან.

დებიუტით, ახალინდური დაცვის ცნობილი ვარიანტით, ქარიშხალი არ იყო მოსალოდნელი, მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ მდგომარეობა ფრიად გამარტივდა.

ტალმა მეოთხე პარტიას „შემოქმედებითი გაუგებრობა" უწოდა. რაღა უნდა დაერქვას მერვე შეხვედრას, როცა საათნახევარში ფიგურების მთელი კომპლექტი გაიცვალა, სწორედ ისე, როგორც წინათ ამ მატჩის მთავარი არბიტრი თამაშობდა?!

ეს უკვე მეხუთე ყაიმია ზედიზედ. ყაიმის მცირე (თუ დიდი?) ეპიდემია დაიწყო რუსთაველის თეატრში. დავიჯეროთ, ტალი და სპასკი ასე ნახევარი ნაბიჯებით განაგრძობენ წინსვლას და არბიტრს აიძულებენ ჰაერში ლითონის ფულის აგდებით გადაწყვიტოს საქმე? არა, აქამდე საქმე, ალბათ არ მივა.

სალო ფლორი,
მატჩის მთავარი არბიტრი.

**ბ. სპასკი — მ. ტალი**

1. d4 მ:6 2. c4 e6 3. მf3 !.6 4. მc3 კb7 5. კg5 h6 6. კh4 კe7 7. e3 მe4 8. კ:e7 ლ:e7 9. მ:e4 კ:e4 10. კe2 0—0 11. 0—0 d6 12. მd2 კb7 13. კf3 c5 14. კ:b7 ლ:b7 15. მf3 მd7 16. dc dc 17. ლc6 ეad8 18. ეfd1 ლf8 19. b3 ლ:d6 20. ე:d6 მf8 21. ეad1 ე:d6 22. ე:d6 ეc8 23. მფf1 მფf8 24. მფe2 მფe7 25. ეd1 ყაიმი.




სურათზე: მორიგი ტური. მ. ტალი (მარცხნივ) და ბ. სპასკი. ფოტო ე. პესოვისა.

# კომუნისტი — სპორტი

## მატჩი მინსკში

გუშინ მინსკში გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ოდესის „ჩერნომორეცისა" და მინსკის „დინამოს" გუნდები. ამ ასპარეზობის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დინამოელთათვის. წარმატების შემთხვევაში ისინი ერთი ქულით უსწრებდნენ მოსკოველ და თბილისელ თანაკლუბელებს და მეოთხე ადგილს იკავებდნენ.

ასეც მოხდა, გაიმარჯვეს მინსკელებმა ანგარიშით 2:1 და 37 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავეს.

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 20 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მ.) | 32 | 22 | 7 | 3 | 55-21 | 51 |
| „დინამო" (კ.) | 31 | 21 | 6 | 4 | 55-22 | 48 |
| ცსკა | 32 | 14 | 10 | 8 | 38-24 | 38 |
| „დინამო" (მნ.) | 32 | 14 | 9 | 9 | 37-27 | 37 |
| „დინამო" (მ.) | 32 | 11 | 14 | 7 | 38-24 | 36 |
| „დინამო" (თ.) | 32 | 12 | 12 | 8 | 37-30 | 36 |
| სკა (როსტ.) | 32 | 10 | 14 | 8 | 42-35 | 34 |
| „სპარტაკი" (მ.) | 32 | 10 | 12 | 10 | 28-26 | 32 |
| „ზენიტი" (ლ.) | 32 | 10 | 12 | 10 | 32-32 | 32 |
| „პახტაკორი" (ტ.) | 32 | 10 | 12 | 10 | 34-40 | 32 |
| „ნეფტიანიკი" (ბ.) | 32 | 11 | 8 | 13 | 32-33 | 30 |
| „შახტიორი" (დ.) | 32 | 7 | 14 | 11 | 29-34 | 28 |
| „კრ. სოვ." (კუიბ.) | 32 | 9 | 9 | 14 | 34-44 | 27 |
| „ჩერნომორ." (ო.) | 32 | 9 | 8 | 15 | 35-43 | 26 |
| „ლოკომოტ." (მ.) | 32 | 8 | 8 | 16 | 37-48 | 24 |
| „ტორპედო" (ქ.) | 32 | 8 | 3 | 21 | 29-69 | 19 |
| სკა (ო.) | 31 | 3 | 6 | 22 | 22-62 | 12 |

## უნგრეთის ნაკრების დამარცხება

ლონდონში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში უნგრეთის ნაკრებისა და ინგლისის ცნობილი კლუბის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 4:0.

## ამინდი

# დაზამთრდა



ზამთარია. პოლარული ანტიციკლონი სულ უფრო შორს ვრცელდება სამხრეთისაკენ. არქტიკულმა ჰაერმა მოიცვა ბალტიისპირეთი, ბელორუსია, ცენტრალური რაიონები, უკრაინა და კავკასიისაკენ მოიწევს. მოსკოვში 15 ნოემბრის წინაღამეს რეგისტრირებულია ყველაზე დაბალი ტემპერატურა დედაქალაქში მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა ყველა წლის მანძილზე.

უკრაინაში სიცივისა და ხმელთაშუა ზღვიდან მოტანილი სითბოს შეხვედრამ ძლიერი თოვა და ყინვა გამოიწვია. აქა-იქ დაინგრა ელექტროგადამცემი ხაზები, დაიმტვრა ანძები და ხეები, გაჩერდა მატარებლები. გამალებით იქმნება ყინული ბალტიისპირეთის მდინარეებზე, ვოლგაზე და დონის სათავეებშიც კი.

სამხრეთ უკრაინიდან ყაზახეთში ზედიზედ შეიჭრა ციკლონები ძლიერი ქარითა და ქარბუქით. დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში სიცივეები ბატონობს, იმიერბაიკალში კი მინუს 35-40 გრადუსია. იაკუტიაში, ოიმიაკონში — მინუს 52. სამაგიეროდ კვლავ თბილა შუა აზიაში, სადაც თბილი ჰაერი შემოდის ირანიდან და ავღანეთიდან. პლუს 18-20 გრადუსია ტაშკენტსა და აშხაბადში, კიდევ უფრო თბილა კუშკაში.

აღმოსავლეთ ზღვებზე უდიდესი ძალის ციკლონებია. მათ მიერ გამოწვეული ქარები 12 ბალს აღწევს. სახალინის სანაპიროს ქვებზე ზღვამ გამოთყორცნა იაპონელთა ორი გემი. წამში 30-35 მეტრი სიჩქარის ქარები, ქარბუქი და ოცგრადუსიანი ყინვა — ასეთი ამინდი მოიტანა ციკლონმა ჩუკოტკაზე. იაპონიაში სიცივის შეჭრამ ელჭექი და კოკისპირული წვიმები გამოიწვია.

ყინვები დატყდა თავს დასავლეთ ევროპასაც: ღამით ნულზე დაბალი ტემპერატურაა. შვეციაში, ნორვეგიასა და ფინეთში 15-20-გრადუსიანი ყინვებია. იტალიაში, საბერძნეთში თბილა — პლუს 18-22 გრადუსია. ძლიერი ქარები და წვიმებია ესპანეთის, პორტუგალიისა და ინგლისის სანაპიროზე.

უახლოეს დღეებში საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე იცივებს, ცენტრალურ რაიონში იქნება მინუს 17-22 გრადუსი, უკრაინასა და ბალტიისპირეთში — მინუს 11-16. იშვიათად იქნება სუსტი თოვა. ჩრდილოეთში თოვა უფრო გახშირდება, ქარები გაძლიერდება. მურმანსკის ოლქში ავიდება.

ავდარს ელიან კავკასიაში, სადაც კოკისპირული წვიმები იქნება, მთებში კი — თოვა. ყაზახეთის ცენტრში მოთოვს და ტემპერატურა დაიწევს.

შუა აზიაში სითბო დარჩება, სამხრეთში პლუს 20-25 გრადუსამდე. მოთოვს კრასნოიარსკის მხარის ჩრდილოეთ ნაწილში და იაკუტიის დასავლეთში. იაკუტიის აღმოსავლეთსა და მაგადანის ოლქში ძალიან ცივა.




# ხვალ „მარაკანას" სტადიონზე

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის — ბრაზილიის ნაკრები გუნდისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივის მომავალი საერთაშორისო მატჩები ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

რიო-დე-ჟანეიროში ამ მატჩისადმი უჩვეულო ინტერესს იჩენენ — ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებულია ინტერვიუები, ჩვენი ფეხბურთელების ფოტოსურათები. საბჭოთა ნაკრებმა გუშინ გამართა წინასამატჩო უკანასკნელი წვრთნა. დღეს ფეხბურთელები ისვენებენ, ხვალ კი მსოფლიოში უდიდეს „მარაკანას" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ნაცნობი მეტოქეები — ბრაზილიისა და სსრ კავშირის გუნდები.

პელემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა — „რუსებთან მატჩი მეტად საინტერესო იქნება".

წინ გაგიშვინათ სამშობლომ
იის და ვარდის ნოხები,
თქვენ შეჯიბრების ფინიშთან
გამარჯვებული მოხვედით.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა, ტექსტი ვ. გორგანელისა.

# სპორტული ქრონიკა

☐ ვინ გადავა უმაღლეს ლიგაში „ა" კლასის მეორე ჯგუფიდან? ეს საკითხი უნდა გადაწყდეს დღეს უკანასკნელი ტურის მატჩებში. ყველაზე მეტი შანსები მოეპოვებათ ერევნის „არარატსა" და ალმა-ატის „კაირატს", რომლებსაც 36-36 ქულა აქვთ. ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩება იაროსლავლის „შინიკი". დღეს „არარატი" საკუთარ მოედანზე შეხვდება გორკის „ვოლგას", „კაირატი" — კიშინიოვში „მოლდოვას", „შინიკი" — ხარკოვში „ავანგარდს". პირველი ორი მატჩის რეპორტაჟის მოსმენა შეიძლება საკავშირო რადიო-პროგრამა მაიაკით 17 საათსა და 15 წუთიდან და 18 საათსა და 7 წუთიდან მოსკოვის დროით.

☐ გუშინ მოსკოვში გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მორიგი მატჩები. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა გდრ-ის წყალბურთელები ანგარიშით 4:2.

# ჩა ვნახოთ, ჩა მოვისმინოთ

## თეატრები

20 ნოემბერი

**რუსთაველის სახელობის** — ქუთათურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა (მე-7 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მოაგარაკენი (I აბონ. I წარმოდგენა), **ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები, **სანკულტურის თეატრი** — ნაბიჭვარი (გაცდენილი აბონემენტები), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (აბონ. № 21, დასაწყ. 10 ს.), როცა ბავშვობა მთავრდება (აბონ. № 50 დასაწყ. 4 ს.), **თოჯინების თეატრი** (ვაჭრობის კულტურის სახლში) — ოქროს სალამური (დასაწყ. 11 და 4 ს.).

## ტელევიზია

20 ნოემბერი

11.00 — საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება (რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან), 16.00-18.00 — შესვენება, 18.00 — საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. საზეიმო კონცერტი (ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან), 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — ჩვენი სატელევიზიო აფიშა, 21.00 — მხატვრული ფილმი „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა", 22.05 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.25 — გადაცემათა პროგრამა 21 ნოემბრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — მუსიკალური გადაცემა „სპექტრი-65" (გადმოცემა სოფიიდან).

## რადიო

20 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.15 — სიმღერები ღვთი გარსიების შესრულებით, 11.15 — მუსიკის საათი მოსწავლეთათვის — „ვიოლინო და როიალი", 12.30 — ნარკვევი — „კონკურსში გამარჯვებული", 12.45 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 13.10 — ქართული ინსტრუმენტული პიესები, 13.40 — მექსიკური სიმღერები, 14.00 — „ხელოვნების ოსტატები — ხალხური სიმღერების შემსრულებლები" (მოსკოვი), 17.15 — ო. გორდელი. კანტატა „წელიწადის დრონი", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „მელოდიას" კონცერტი, 18.45 — უკრაინს მარია გრინბერგი, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — რადიონარკვევი — „ერთი სოფლის მატიანე", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — „მხიარულ ტალღაზე", 21.00 — კონცერტი — „შაბათ საღამოს", 22.00 — „რუსთაველის საიუბილეოდ", 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი ... განყოფილებები: პარტიული — 9 87-61, პროპაგანდის — ... ლესო სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატუ... ილუსტრაციის — 8-25-54, განცხადებების — 9-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66113 ... ლენინის ქ. № 14.